საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეძმარიაშვილი ლერი აკაკის ძე

მეძმარიაშვილი ლერი აკაკის ძე (დ. 4. II. 1935, ქუთაისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1978), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1959). მუშაობდა „თბილ-ქალაქპროექტში“ არქიტექტორად (1959-72), შემდეგ – „საქქალაქ-მშენსახპროექტში“ არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად (1972-91). 1991-2001 იყო საქართვ. ისტ. და კულტურის ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს უფროსი, კულტურის მინისტრის მოადგილე, საქართვ. სამშ. პროექტების ექსპერტიზის მთ. სამმართველოს გენ. დირექტორის მოადგილე (2003-09). მ-ის ძირითადი ნამუშევრებია: საცხოვრ. სახლი თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე (1968, რ. ბაირამაშვილთან ერთად); თბილ. სახელმწ. უნ-ტის ახ. კომპლექსი (1971, ავტორთა ჯგუფთან ერთად); ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენა-რეკონსტრუქცია (1973, მ. ჩაჩანიძესთან ერთად); ჯ. კახიძის სახ. თბილ. მუს. ცენტრი (1980, მ. ჩაჩანიძესთან ერთად, საქართვ. სახელმწ. პრემია, 1981); ცხინვალის მუს.-დრამ. (1980) და სოხუმის დრამ. (1984) თეატრები (ორივე მ. ჩაჩანიძესთან ერთად) და სხვ.